S 85
1988

ISSN 0203—2023

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარიელნო
ყველანი
ერთეულნისა,
შეერთდით!

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 2

1988

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 2 (571) თებერვალი 1988 წელი

შინაარსი

განყოფილება პირველი

15. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის № 57 ვაჟა-ფშაველას, ლაგოდეხის რაიონის № 213 ლაგოდეხის, თერჯოლის რაიონის № 255 ჭოგნარის, ჩხოროწყუს რაიონის № 345 ლესიჭინის და ქალაქ გაგრის № 370 ჟურორტის საარჩევნო ოლქებში საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების შესახებ.
16. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებათა შეტანის შესახებ.
17. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, მოსახლეობის სანინა-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს, მისი აღმასკომის მუშაობის შესახებ.

განყოფილება მეორე

18. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. დ. კვინიკაძის მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
19. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

20. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. დ. ანდღულაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

21. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ზ. ი. დიდიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

22. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. გ. ლაზიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

23. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ე. ს. მენაბდიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

24. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. გ. მონცელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

25. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. რ. გ ურჯუმელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

26. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ს. ფხაკაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

27. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ჯგუფების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

28. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაკთა და აქტივისტების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

29. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ჯ. მ. ვაშაკიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

30. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ნ. ვაშკინისათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

31. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ რ. მ. თიდორაძისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

32. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ს. ჰ. ნასყიდაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული მეცნიერ-ტორის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

33. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სამოქალაქო ავიაციის მუშაკთა ჯგუფისათვის საქართველოს სსრ სპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

№ 2
ეროვნული
ბიბლიოთეკა

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები.
სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის არჩევნები.

18920

ეროვ. ბიბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

15 ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის № 57 ვაჟა-ფშაველას, ლაგოდეხის რაიონის № 213 ლაგოდეხის, თერჯოლის რაიონის № 255 ჭოგნარის, ჩხოროწყუს რაიონის № 345 ლესიჭინის და ქალაქ გაგრის № 370 კურორტის საარჩევნო ოლქებში საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 56-ე მუხლის შესაბამისად დაინიშნოს საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის № 57 ვაჟა-ფშაველას, ლაგოდეხის რაიონის № 213 ლაგოდეხს, თერჯოლის რაიონის № 255 ჭოგნარის, ჩხოროწყუს რაიონის № 345 ლესიჭინის და ქალაქ გაგრის № 370 კურორტის საარჩევნო ოლქებში კვირას, 1988 წლის 13 მარტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 12 თებერვალი.
№ 1603—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

16 საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებათა შეტანის შესახებ

„სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 14 დეკემბრის ბრძანებულებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ 1964 წლის 26 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1964 წ., № 36, მუხ. 662) შემდეგი ცვლილებები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. მე-18 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 18. დავის გადაცემა სამედიატორო სასამართლოს გადასაწყვეტად კანონით ან საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავა, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება გადასაწყვეტად გადაეცეს სამედიატორო სასამართლოს, სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საზღვაო საარბიტრაჟო კომისიას ან საარბიტრაჟო სასამართლოს“.

2. 352-ე მუხლის:

მე-7 პუნქტში სიტყვები „სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საზღვაო და საგარეო ვაჭრობის საარბიტრაჟო კომისიების“ შეიცვალოს სიტყვებით „სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საზღვაო საარბიტრაჟო კომისიისა და საარბიტრაჟო სასამართლოს“;

მე-12 პუნქტში სიტყვები „პროფესიული კავშირების საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტების“ შეიცვალოს სიტყვებით „საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა პროფკავშირის კომიტეტების“.

3. 353-ე მუხლის:

პირველ პუნქტში სიტყვები „საგარეო ვაჭრობის საარბიტრაჟო კომისიისა“ შეიცვალოს სიტყვებით „სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საარბიტრაჟო სასამართლოსა“;

მე-6 პუნქტში სიტყვები „პროფესიული კავშირების საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტების“ შეიცვალოს სიტყვებით „საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა პროფკავშირის კომიტეტების“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 19 თებერვალი.
№ 1606—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

17 სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, მოსახლეობის საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის გათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს, მისი აღმასკომის მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭო და მისი აღმასრულებელი კომიტეტი, პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით, ასრულებენ რა სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს, ორგანიზატორულ საქმიანობას წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართვაენ ქალაქის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის მიმდინარეობს მუშაობა რადიკალური ეკონომიკური რეფორმის განსახორციელებლად. სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა დემოკრატიული საწყისების გაფართოებას საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების საქმიანობაში, ეკონომიკური და სოციალური ამოცანების კომპლექსურ გადაწყვეტას, მოსახლეობის საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. შემუშავდა და დამტკიცდა 2000 წლამდე მოქალაქეთა საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის პერსპექტიული გეგმა. უკანასკნელ წლებში გაიზარდა არასაწარმოო მშენებლობის, შთ შორის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის მოცულობა. დაინერგა საცხოვრებელი სახლების ახალი ტიპური პროექტები, გადაიჭრა სახლსაშენებელი კომბინატის რეკონსტრუქციის საკითხი, გამკაცრდა კონტროლი და მომთხოვნელობა საბინაო მშენებლობის ხარისხისადმი, საბინაო ფონდის განაწილებისადმი. ათასობით ბათუმელმა მიიღო კეთილმოწყობილი ბინა. ამენდა ზოგადსაგანმანათლებლო და სპორტული სკოლები, საბავშვო ბაღები, ადმინისტრაციული-გამაჯანსაღებელი კომპლექსი, სხვა სოციალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტები.

ამასთან ბათუმის სახალხო დეპუტატთა საბჭოს, მისი აღმასკომის მუშაობა ქალაქის კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის, მოსახლეობის საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის კვლავ ვერ უპასუხებს სკკპ XXVII ყრილობის, პარტიისა და მთავრობის ცნობილ დადგენილებათა მოთხოვნებს.

ნელა უმჯობესდება კაპიტალური მშენებლობის მართვა. 1987 წელს არ შესრულდა კაპიტალური მშენებლობის გეგმები ყველა მაჩვენებლის მიხედვით. სისტემატურად ირღვევა მშენებლობის ნორმატიული ვადები. ქალაქში არსებული სხვადასხვა უწყებრივი დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა სახსრები წილობრივი მონაწილეობის წესით სათანადოდ არ გამოიყენება სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა სიმძლავრის განვითარების, სოციალურ-კულტურული და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობისათვის. ცოტა შენდება საცხოვრებელი სახლები სამეურნეო და ინდივიდუალური წესით, მცირეა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების რაოდენობა და ეს მაშინ, როდესაც ქალაქს არ ჰყოფნის სიმძლავრეები სულ უფრო მზარდი საბინაო მშენებლობისათვის. ყოველწლიურად საშუალოდ შენდება მხოლოდ 60-70 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ნაცვლად 2000 წლამდე პროგრამით გათვალისწინებული 130 ათასი კვადრატული მეტრისა. საბინაო პირობების გაუმჯობესების აღრიცხვაზე ამჟამად 5 ათასი ოჯახია, ორი ათასი ოჯახი მოძველებულ და ავარიულ სახლებში ცხოვრობს. წლეულს ბინით დაკმაყოფილებენ მხოლოდ 1961-1962 წლიდან აღრიცხვაზე მყოფ მოქალაქეებს.

საბინაო მშენებლობაში არსებულ მწვავე მდგომარეობას უფრო ამძაფრებს ბინების აღრიცხვა-განაწილებისას დაშვებული შეცდომები და უკანონობა, რის შედეგადაც იმატა საჩივრებმა. სწორედ ამან განაპირობა საკითხის განხილვა პრეზიდიუმის სხდომაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნალური მომსახურება კვლავ რჩება ერთ-ერთ ყველაზე მეტად პრობლემად; კომუნალური მშენებლობა მკვეთრად ჩამორჩება საბინაოს. ახალ საცხოვრებელ მიკრორაიონებში მცირეა საავჭრო, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სპორტის ობიექტები, კულტურის დაწესებულებები. ხარვეზებია გაზით, წყლით, სათბობით, ცხელი წყლით, ელექტროენერგიით უზრუნველყოფაში. თანამედროვე მოთხოვნებს ვერ უპასუხებს საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობის, მოსახლეობის კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებისათვის აღმასკომისა და მისი შესაბამისი სამსახურების მიერ განხორციელებული ღონისძიებები. შეფერხებები მოსახლეობის ელემენტარული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში ხელს უწყობს საჩივრების წარმოშობას.

საბინაო პრობლემის გამწვავება იმანაც განაპირობა, რომ ხშირად ირღვევა სპასპორტო რეჟიმის მოთხოვნები, განსაკუთრებით კი ბარაკებში, სარდაფებსა და სხვა შეუფერებელ ბინებში მოქალაქეთა ჩაწერისას, ხოლო საბინაო პირობების გაუმჯობესების აღრიცხვაზე აყვანისა და ბინების განაწილების დროს — სოციალური სამართლიანობის პრინციპები. საერთო და საუწყებო აღრიცხვის სიების დაზუსტებისას გამოვლინდა და საბინაო აღრიცხვიდან მოიხსნა მასზე უკანონოდ მყოფი 620 ოჯახი. უკანასკნელ წლებში მკვეთრად იმატა ახლად აშენებულ საცხოვრებელ სახლებში მოქალაქეთა თვითნებური შეჭრისა და ბინების უკანონოდ დაკავების შემთხვევებმა, რაც აგრეთვე საჩივარ-განცხადებათა რიცხვის ზრდის ერთ-ერთი მიზეზია.

სერიოზული ნაკლოვანებებია ქალაქის ქუჩების, მოედნების, სკვერების კეთილმოწყობასა და გამწვანებაში. უკანასკნელ წლებში მკვეთრად გაუარესდა ეკოლოგიური ვითარება.

ქალაქის კეთილმოწყობაში, ეაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, ჯანმრთელობის დაცვის, კავშირგაბმულობის, კომუნალური, საყოფაცხოვრებო, სატრანსპორტო მომსახურების ორგანიზაციაში არსებული სერიოზული ხარვეზები, ეკოლოგიური პრობლემები ბევრ სიძნელეს უქმნის დამსვენებელთა საკურორტო მომსახურებას, აქვეითებს მის ხარისხს.

საქალაქო საბჭოს სესიებზე ყოველთვის პრინციპულად არ ანალიზდება ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციების წვლილი ქალაქის პრობლემების გადაჭრაში, ხშირად სათანადო შეფასება არ ეძლევა ცალკეული მათგანის მიერ პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმების შეუსრულებლობის ფაქტებს. სუსტად გამოიყენება კონტროლის ისეთი მნიშვნელოვანი და ქმედითი ფორმა, როგორიცაა დეპუტატთა მიერ შეკითხვის წესით საკითხის დაყენება. სესიებსა თუ აღმასკომის სხდომებზე სხვადასხვა საჭირბოროტო აქტუალური საკითხების განხილვა ძირითადად სამეურნეო ხასიათის ატარებს. კონკრეტულად და პრინციპულად არ ფასდება დეპუტატი ხელმძღვანელების, მუდმივი კომისიებისა და დეპუტატთა ჯგუფების, აღმასკომის ცალკეული სამსახურებისა და მიკრორაიონთა საბჭოების წვლილი.

კვლავ დიდია აღმასკომის სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა, არ არის მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების ორგანიზაციისა და კონტროლის მწყობრი სისტემა. ბევრი დეპუტატი არ იჩენს სათანადო აქტიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობას, რის გამოც საქალაქო საბჭოსა და მისი აღმასკომის, დეპუტატთა კომისიების, ჯგუფებისა და საგუშაგოების მუშაობაში მონაწილეობს მხოლოდ მათი ერთი მეოთხედი. 14 მუდმივი კომისიიდან მხოლოდ ორ-სამს შეუძლია იმსჯელოს თავისი საქმიანობის რეალურ შედეგებზე. კომისიებისა და დეპუტატთა ჯგუფების უმეტესობა ქმაყოფილდება სხვადასხვა მასშტაბურ საკითხებზე ზოგადი მსჯელობითა და ფაქტების კონსტატაციით, არ შეიმუშავებს ცალკეულ უბნებზე საქმის გამოსწორების კონკრეტულ და დასაბუთებულ რეკომენდაციებს.

ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის გაწეულ მუშაობას აკლია საჯაროობა. შრომითი კოლექტივებისა და მოსახლეობის წინაშე საქალაქო საბჭოს, მისი აღმასკომის, ქალაქის სხვადასხვა სამსახურების ხელმძღვანელთა, მუდმივი კომისიებისა და დეპუტატთა ჯგუფების, დეპუტატების ანგარიშგებაში არის ზერელობა და ფორმალიზმი. გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“ სუსტად შუქდება ბათუმის საქალაქო საბჭოს საქმიანობა ამ მიმართებით. ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა მშრომელთა სამართლებრივ აღზრდას. ნელა უმჯობესდება მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის, კულტურული დასვენების ორგანიზაცია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭომ, ხელმძღვანელობს რა პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებით, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გაზრდისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, ძირეულად გარდაქმნას ორგანიზატორული მუშაობა ქალაქის კომპლექსური ეკონომიკურ-სოციალური განვითარებისა და მოსახლეობის საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების განუხრელი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად; აქტიურად გამოიყენოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებები საზოგადოებრივი წარმოების ტემპის ზრდის, მისი ეფექტიანობის ამაღლების, შრომითი კოლექტივებისა და მოსახლეობის სოციალურ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის; განავითაროს დემოკრატიული საწყისები საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობაში; აღმოფხვრას ამ დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებები, რისთვისაც განუხრელად გაზარდოს საქალაქო საბჭოს სესიების, არჩევითი აქტივის, დეპუტატების, დეპუტატთა კომისიებისა და ჯგუფების, საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების როლი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხების გადაწყვეტაში.

2. ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა (ამხ. რ. დოლიძე):

— უფრო ინტენსიურად გარდაქმნას მუშაობის სტილი და მეთოდები, შექმნას მაღალი მომთხოვნელობის, საჯაროობის ვითარება; გაძლიეროს ზემოქმედება გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების გეგმების ჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოყალიბებასა და შესრულებაზე, მიიზიდოს მათი საშუალებები და რესურსები საწარმოო და არასაწარმოო ინფრასტრუქტურის ობიექტების ერთობლივი მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის;

— საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის დადგენილების შესაბამისად გაატარებოს სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების სიმძლავრეებისა და მათი დატვირთვის შეთანასწორება, შეამციროს დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა ძალებისა და საშუალებების თავმოყრის, მშენებლობის ნორმატიული ვადების მკაცრი დაცვის გზით; გააფართოოს სამშენებლო ინდუსტრიისა და საშენ მასალათა მრეწველობის სიმძლავრეთა განვითარებაში გეერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების წილობრივი მონაწილეობის პრაქტიკა; თანამიმდევრულად განახორციელოს კეთილმოწყობილი ბინებით მოქალაქეთა უზრუნველყოფის, მათი შინაარსიანი დასვენების ორგანიზაციის, მომსახურების სფეროს ყველა დარგის მუშაობის თვისებრივი გაუმჯობესების ღონისძიებები; უზრუნველეყოს საბინაო და მომსახურების ობიექტების მშენებლობაზე გამოყოფილი სახსრების დროული ათვისება. მეტი ყურადღება დაუთმოს საცხოვრებელი სახლების სამეურნეო წესით მშენებლობას, აგრეთვე კოოპერაციულ და ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობას;

— უზრუნველყოს საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში ფართო საჯაროობა საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვისა და ბინების განაწილების საქმეში;

— მკაცრად დაიცვას კანონიერება, სოციალური სამართლიანობის პრინციპები; აამაღლოს შრომითი კოლექტივების, მათი ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა ბინების განაწილებაში დარღვევებისა და მათი თანამშრომლების მიერ ახალი ბინების უკანონოდ დაკავების ფაქტების აღკვეთისათვის;

— განახორციელოს სურსათით მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებები; ხელი შეუწყოს გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების დამხმარე მეურნეობების, კოლექტიური მებაღეობისა და მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობათა განვითარებას;

— კოორდინაცია გაუწიოს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების განვითარების კომპლექსური პროგრამის განხორციელებას, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს მისი ხარისხის გაუმჯობესებასა და ასორტიმენტის გაფართოებას, ადგილობრივი და მეორეული ნედლეულისაგან სახალხო მოხმარების საგნების წარმოების დამატებითი რეზერვების ძიებას, აგრეთვე ფასიანი მომსახურების სახეობათა მრავალფეროვნებას.

3. ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოახსენოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1989 წლის II კვარტალში.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილოს ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. რ. დოლიძის მოხსენებით ბარათში დასმული საკითხები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საბინაო მშენებლობას, ბინების აღრიცხვასა და განაწილებას იმის გათვალისწინებით, რომ საბინაო პრობლემის დაჩქარებით და სამართლიანად გადაჭრა ბევრადაა დამოკიდებული ამ საქმეში კანონმდებლობის მკაცრად დაცვასა და საჯაროობაზე.

6. კონტროლი აღნიშნული დადგენილების შესრულების მიმდინარეობისადმი დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 25 თებერვალი.
№ 1610—XI

განყოფილება მეორე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

18 ამხ. თ. დ. კვინიკაძის მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობისა და ადამიანთა გადარჩენის დროს გამოჩენილი გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით საწარმოო გაერთიანება „თეთრონის“ გენერალური დირექტორი ამხ. თამაზ დიმიტრის ძე **კვინიკაძე** დაჯილდოვდეს მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 22 თებერვალი.
№ 1607—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

19 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფაში წვლილისა და სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის — სახელმწიფო უშიშროების კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიტტეტის 70 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

ანატოლი სტეფანეს ძე **დემიდენკო** — პოდპოლკოვნიკი.
ბორის ვიქტორის ძე **ეგურნოვი** — მაიორი.
ლეონიდე მიხეილის ძე **იცკოვსკი** — პრაპორშჩიკი.
ივანე **ანდრიას** ძე **სიჩევი** — უფროსი პრაპორშჩიკი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 8 თებერვალი.
№ 1596—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

20 **ამხ. ნ. დ. ანდღულაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

ქართული საბჭოთა მუსიკალური კულტურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნოდარ დავითის ძე **ანდღულაძე** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 8 თებერვალი.
№ 1596—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

21 **ამხ. ზ. ი. დიდიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

პროფკავშირულ ორგანოებში აქტიური და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე ამხ. ზურაბ ისაკის ძე **დიდიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 8 თებერვალი.
№ 1594—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

22 ამხ. ბ. ბ. ლაზიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დასაცავად გაწეული ხანგრძლივი უმწიკვლო სამსახურისა და სასაზღვრო რაიონების მოსახლეობის პატრიოტული სულისკვეთებით აღსაზრდელად აქტიური მუშაობისათვის ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის სასაზღვრო რაზმის სასაზღვრო კომენდატურის კომენდანტი ამხ. გრიგოლ გიორგის ძე **ლაზიაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 8 თებერვალი.
№ 1591—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

23 ამხ. ე. ს. მენაგდიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიის პოლიტიკის პროპაგანდისათვის გაწეული ნაყოფიერი **მუშაობისათვის**, საზოგადოებრივი აზრის შესწავლაში აქტიური მონაწილეობისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ცენტრის სწავლული მდივანი ამხ. ელგუჯა სოლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონის ძე მენაბდიშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 8 თებერვალი.
№ 1590—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

24 ამხ. თ. ბ. მონცელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქმთავარმონტაჟსპეცმშენის კადრების, შრომისა და ხელფასის სამმართველოს უფროსი ამხ. თენგიზ გრიგოლის ძე მონცელიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 8 თებერვალი.
№ 1589—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

25 ამხ. რ. ბ. ურჯუმელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანოებში აქტიური ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი, აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. რობერტ გიორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გის ძე **ურჯუმელაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 8 თებერვალი.
№ 1592—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

26 ამხ. გ. ს. ფხაკაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანოებში აქტიური ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან **დაკავშირებით** ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. გივი სერგოს ძე **ფხაკაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 8 თებერვალი.
№ 1593—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

27 რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ჯგუფების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოციალისტური კონტროლის 70 წლისთავთან დაკავშირებით და **პარტ**იის და მთავრობის დირექტივების შესრულებისადმი **კონტროლისათვის აქტიური** მუშაობის გამო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს **პრეზიდიუმის** საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

მაღაროთსამმართველო „ტყვარჩელის“ ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოების,

ქობულეთის რაიონის სოფელ ლეღვას კოლმეურნეობის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზნაურის რაიონის სოფელ ავნევის დ. გურამიშვილის სახელობის კოლმეურნეობის,

სსრკ 50 წლისთავის სახელობის თბილისის საწარმოო გაერთიანების, ზეტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის,

გორის საწარმოო გაერთიანება „დილა“,

ქუთაისის სახლსაშენებელი კომბინატის სახალხო კონტროლის ჯგუფები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 11 თებერვალი.
№ 1601—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

28 რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაკთა და აქტივისტების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვების შესახებ

სოციალისტური კონტროლის 70 წლისთავთან დაკავშირებით და სახალხო კონტროლის ორგანოებში აქტიური მუშაობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:**

ჯამელა მაგარამ ყიზი **აბასოვა** — საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის წევრი.

იზოლდა თეოდოტის ასული **ადეიშვილი** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე.

მარგელოს კარაპეტის ძე **არიანი** — ბოგდანოვკის რაიონის სოფ. ეშტიის კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.

პეტრე პავლეს ძე **გონჩაროვი** — თბილისის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო მუშაობის შტატგარეშე განყოფილების გამგის მოადგილე, ომისა და შრომის ვეტერანი.

ნანული გედევანის ასული **ვახტანგაძე** — საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.

ირინე ბორისის ასული **თურქია** — თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „გლდანის“ სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.

იური ვლადიმერის ძე **კვეკვესკირი** — ონჩამჩირის რაიონის თ. სოსელიას სახელობის მერკულის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18920

თენგიზ ნიკოლოზის ძე **მაზნიაშვილი** — სიღნაღის რაიონის სოფ. ნუკრიანის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.

თამარ ივანეს ასული **სამარინა** — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის წვრილსორტული საგლინაკი საამქროს სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.

დარმანტი ალექსის ძე **სულაშვილი** — წითელი წყაროს რაიონის სოფ. გამარჯვების ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.

ბატრაძი გრიგოლის ძე **ქილეხსაე-ი** — ცხინვალის რაიონის კ. ხერთვისის სახელობის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.

ბორის სტეფანის ძე **შინგილია** — ცხაკაიას სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის წევრი, შრომის ვეტერანი.

აბესალომ ტიმოთეს ძე **ხაინდრავა** — თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოს“ სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.

ჭიჭიკო არსენის ძე **ხომერიკი** — მახარაძის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის შტატგარეშე მუშაკი, ომისა და შრომის ვეტერანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კპარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 11 თებერვალი.
№ 1602—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

29 ამხ. ჯ. მ. ვაშაკიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ პროკურატურის შრომა-გასწორების დაწესებულებებში კანონების დაცვისადმი ზედამხედველობის განყოფილების უფროსს ამხ. ჯიმშერ მიხეილის ძე **ვაშაკიძეს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კპარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 8 თებერვალი.
№ 1598—XI

სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

30 ამხ. ა. ნ. ვაუკინისათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მუსიკალური ხელოვნების პროპაგანდაში დამსახურებისათვის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის უფროსს — სამხატვრო ხელმძღვანელს ამხ. ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ვაშკინს მიენიჭოს „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 8 თებერვალი.
№ 1597—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

31 ამხ. რ. მ. თედორაძისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

კულტურის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ჩოხატაურის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგეს ამხ. რევაზ მიხეილის ძე თედორაძეს მიენიჭოს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 8 თებერვალი.
№ 1600—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

32 ამხ. ს. პ. ნასყიდაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული მელიორატორის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

წყალთა მეურნეობის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის რესპუბლიკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი საწარმოო გაერთიანება „სახწყალექსპლუატაციის“ ახალციხის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროს ინჟინერს ამხ. სიმონ პაკლეს ძე **ნასყიდაშვილს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ დამსახურებული მელიორატორის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 8 თებერვალი.
№ 1599—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

33 სამოქალაქო ავიაციის მუშაკთა ჯგუფისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკი“

გიორგი ვასილის ძე **აკალიშვილს** — თბილისის გაერთიანებული ავიარაზმის ავიაციის ტექნიკოსს.

ალბერტ ხაჩიკის ძე **ერიცანს** — სოხუმის გაერთიანებული ავიარაზმის საფრენოსნო რაზმის უფროს ბორტმექანიკოსს.

გრიგოლ ივანეს ძე **ვეკუას** — სოხუმის გაერთიანებული ავიარაზმის მძღოლს.

ელბერდ ივანეს ძე **ნუცუბიძეს** — თბილისის გაერთიანებული ავიარაზმის საფრენოსნო რაზმის მეთაურს.

სილიბისტრო თომას ძე **ჩოგოვაძეს** — ქუთაისის გაერთიანებული ავიარაზმის ავიაციის ტექნიკოსს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

ნოე ალექსის ძე **წამალაშვილს** — თბილისის გაერთიანებული ავიარაზმის მიწისზედა ნაგებობათა ექსპლუატაციის განყოფილების უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 22 თებერვალი.
№ 1609—XI

№ 2
ეროვნული
ბიბლიოთეკა

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

25 თებერვალს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მორიგი სხდომა. სხდომამ განიხილა საკითხები: სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, მოსახლეობის საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს, მისი აღმასკომის მუშაობის შესახებ; „სკკპ XXVII ყრილობის მიერ შემუშავებული გარდაქმნის კურსის შესაბამისად ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საქმიანობაში დეპუტატთა აქტიურობის გაძლიერების მიზნით ყველა საფეხურის სახალხო დეპუტატთა საბჭოების დეპუტატთა შეკრებების ჩატარების პრაქტიკის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 27 აგვისტოს დადგენილების შესრულების თაობაზე და სხვ.

განხილულ საკითხებზე მიღებულია შესაბამისი დადგენილებები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბინაო-კომუნალური და საქალაქო მეურნეობის კომისია, რომელმაც მოისმინა საკითხი საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საბინაო მშენებლობის გეგმების შესრულების, საქალაქო და საბინაო-კომუნალური მეურნეობის განვითარების საქმეში ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაობის შესახებ, აღნიშნავს, რომ ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი, საბჭოს საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და კითილმოწყობის მუდმივი კომისია მეექვსე სესიის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ახორციელებენ გარკვეულ ღონისძიებებს, რომლებიც გამიზნულია ბინათმშენებლობის გეგმების შესრულების, საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობისა და მოსახლეობის კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

საქალაქო საბჭოს აღმასკომი პერიოდულად აანალიზებს საბინაო ფონდის გაზრდის, კომუნალური მომსახურების მდგომარეობის საკითხებს, განიხილავს მათ თავის სხდომებსა და საბჭოს სესიებზე, ახორციელებს ღონისძიებებს საგეგმო დავალებათა შესასრულებლად.

ამჟამად ქალაქი ძირითადად უზრუნველყოფილია სასმელი წყლით. ფართოვდება საკანალიზაციო ქსელი, შენდება სატუმბი სადგურები, ეწყობა კოლექტორები, ფუნქციონირებს 48 საქვაბე, რომლებიც გათბობით უზრუნველყოფენ საბინაო ფონდის 90 პროცენტს. ქალაქის გამწვანებისათვის გამოყოფილი თანხები მთლიანად ხმარდება ამ სამუშაოებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან, როგორც წარმოდგენილი მასალების ანალიზი ცხადყოფს, ქალაქში სათანადოდ არ სრულდება კანონმდებლობის მოთხოვნები საბინაო ფონდის დაცვა-შენახვის უბრუნველყოფისა და მოქალაქეთა საბინაო პირობების გაუმჯობესების შესახებ.

დაბალია ქ. ფოთის ბინათმშენებლობის ტემპი, 1987 წელს 12 საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე გამოყოფილი 3987 ათასი მანეთიდან ათვისებულია მხოლოდ 2169 ათასი მანეთი, ანუ 54 პროცენტი. მართალია, 1987 წელს გეგმით გათვალისწინებული 6 სახლიდან საექსპლუატაციოდ ექვსივე გადაეცა, მაგრამ დანარჩენ 6 გარდამავალ ობიექტზე გეგმა შესრულებულია მხოლოდ 8,5 პროცენტით. დაბალია შესრულებული სამუშაოების ხარისხი.

ქ. ფოთის საბინაო-საექსპლუატაციო კანტორის ბალანსზე ირიცხება 74 საცხოვრებელი სახლი. საბინაო ფონდის საბალანსო ღირებულებაა 20.104,1 ათასი მანეთი, ხოლო დებიტორული დავალიანება შეადგენს 77,7 ათას მანეთს, რაც გამოწვეულია იმით, რომ არ მიმდინარეობს სათანადო მუშაობა ბინის ქირის დავალიანების ამოღებისათვის.

ძალზე მძიმე მდგომარეობაში არიან ინდივიდუალური სახლების ბინათმფლობელები. სახლების მშენებლობისა თუ შეკეთებისათვის გამოყოფილი გრძელვადიანი სესხი არასაკმარისია და ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნას.

წლიდან წლამდე ქ. ფოთში საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტი ტარდება არაორგანიზებულად, შესაკეთებელი სახლების შერჩევა ხდება არა საბინაო ფონდის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევისა და გეგმური და რიგგარეშე დათვალიერების მასალების მიხედვით, არამედ წარმოებს თვითნებურად. სატიტულო სიით გათვალისწინებული 28 სახლის ნაცვლად სამუშაოები ჩატარებულია 45 საცხოვრებელ სახლზე, აქედან 10-ზე — ტექდოკუმენტაციის გარეშე. რიგ შემთხვევებში კაპიტალური რემონტის სახსრებით შესრულებულია მიმდინარე რემონტის სამუშაოები. არ ხდება სახლების სრულ ტექნიკურ მდგომარეობაში მოყვანა. 45 სახლიდან მხოლოდ 20 სახლზეა გაფორმებული მიმღები კომისიის აქტი, შესრულებული სამუშაოების ხარისხი დაბალია, კომისიის მიერ მიღებულია უხარისხოდ შესრულებული ობიექტები.

საბინაო ფონდის მიმდინარე რემონტი ობიექტების მიხედვით წინასწარ არ იგეგმება წლის დასაწყისში, მიმდინარე რემონტზე დასაქმებულ მუშებს დავალება არ ეძლევათ განწესის მიხედვით.

მართალია, ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს ქალაქის საკანალიზაციო ქსელის მშენებლობა-გაფართოებისათვის, მაგრამ მშენებლობა უხარისხოა, არის კოლექტორებისა და სათვალთვალო ჭების ჩანგრევის, კოლექტორებში გრუნტის წყლების შეჟონვის ფაქტები, რაც ხელს უშლის სატუმბოების გამართულ მუშაობას (სამუშაოებს აწარმოებს ტრესტ „კოლხეთმშენის“ № 2 მოძრავ-მექანიზებული კოლონა).

შეფერხებებია ელექტროენერგიით მომარაგებაში, რაც გამოწვეულია სატრანსფორმატორო ქვესადგურების გაუმართავი მუშაობით. ხშირად ზიანდება მაღალი და დაბალი ძაბვის კაბელები.

№ 2
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაკლოვანებებია აგრეთვე საცხოვრებელი სახლების გათბობით უზრუნველყოფის საქმეში.

არადამაკმაყოფილებელია ქალაქის სანიტარიული მდგომარეობა, იგივება მისი მხოლოდ 60 პროცენტი. არსებული 8 ნაგვის გამტანი ავტომანქანა არ ყოფნის ქალაქს, სადაც თითქმის 60 ათასი მცხოვრებია.

საქალაქო საბჭოს დეპუტატები, საბინაო-საექსპლუატაციო უბნები და მოსახლეობა არ არიან საკმარისად მობილიზებული სახლების მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოსაწყობად, სისტემატურად არ ტარდება დათვალიერება-კონკურსი „საუკეთესო სახლის, ეზოს, ქუჩის“ წოდების მოსაპოვებლად.

ბინათმშენებლობისა და საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობის შესახებ კანონმდებლობის დაცვისათვის გაწეულ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები მნიშვნელოვნად განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი ვერ ასრულებს კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებას, არ ახორციელებს სათანადო კონტროლს სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციების საქმიანობისადმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბინაო-კომუნალური და საქალაქო მეურნეობის კომისიამ საჭირო რჩევა მისცა ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით მომარაგების სახელმწიფო კომიტეტს, „საქმთავარნერგოს“, სსრ კავშირის შემნახველი ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ ბანკს და საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს.

* * *

ამავე კომისიის სხდომამ მოისმინა საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოადგილის ამხ. ა. ყურაშვილის ინფორმაცია კომუნალური მეურნეობის განვითარების საკითხებზე საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის ამომრჩეველთა მიერ მიცემული განაწესების შესრულების მიმდინარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ სამინისტროს სახელზე 1985 წლიდან დღემდე შემოსული 23 განაწესიდან შესრულებულია 5, ხოლო 6-ის განხორციელება ნავარაუდევია მიმდინარე წელს.

წალკის, ლენტეხის, თელავისა და სხვა რაიონების ამომრჩეველთა მიერ დეპუტატებისათვის მიცემული 12 განაწესის განხილვა, როგორც საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო განმარტავს, იწარმოებს 1989-1990 წლების დაპროექტება-მშენებლობის გეგმების ფორმირებისას. ამასთან ხაზგასმით აღინიშნა, რომ ძალზე გაჭიანურდა მესტიის რაიონის მოსახლეობის მიერ დეპუტატ ლ. ნიკურაძისათვის მიცემული განაწესი მესტიაში კანალიზაციისა და ცენტრალური თბოქსელის დაპროექტებისა და მშენებლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის თაობაზე. (საკითხი სამინისტროს მიერ განხილულ იქნება 1989-1992 წლებში).

მონაცემები ცხადყოფენ, რომ განაწესების შესრულების ტემპი არადამაკმაყოფილებელია, რაც იწვევს დეპუტატებისა და მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას. ასე მაგალითად, დეპუტატი ვ. კოროიანი იტყობინება, რომ ჯერ კიდევ 10 წლის წინათ შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ქ. ბოგდანოვკის საკანალიზაციო კოლექტორის მშენებლობის შესახებ დღემდე შეუსრულებელია. სამინისტროს განაცხადებით ეს საკითხი განხილული იქნება 1989 წლის გეგმის ფორმირებისას. მიუხედავად არაერთი დაბირებისა, წლების მანძილზე დადებითად არ წყდება მის მიერვე დასმული საკითხი საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მიერ ქ. ბოგდანოვკაში საცხოვრებელი სახლის მშენებლობის თაობაზე. რაიონული ცენტრის ასობით ოჯახი მწვავედ განიცდის უბინობას.

ჭიანურდება თვით საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრის დეპუტატ ნ. ნეფედოვისათვის წალკის რაიონის ამომრჩევლების მიერ მიცემული განაწესი წალკაში საკანალიზაციო ქსელის რეკონსტრუქციის თაობაზე.

ნაკლოვანებებია ბინათმშენებლობის საკითხებზე ამომრჩეველთა განაწესების რეალიზაციის საქმეშიც. მაგალითად, არ განხორციელებულა შესასრულებლად მიღებული განაწესი 1986 წლიდან დაწყებული ქ. თელავში ყოველწლიურად 60-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბინაო-კომუნალური და საქალაქო მეურნეობის კომისიამ საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მომსახურების სამინისტროს ინფორმაცია მიიღო ცნობად და რჩევა მისცა მას ამომრჩეველთა განაწესებზე მუშაობაში განუხრელად იხელმძღვანელოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დეპუტატთა საქართველოს სს რესპუბლიკაში ამომრჩეველთა განაწესებზე მუშაობის ორგანიზაციის შესახებ და შეიმუშაოს დამატებითი ღონისძიებანი აღნიშნული განაწესების მეთორმეტე ხუთწლედში განსახორციელებლად.

* * *

თავის სხდომაზე კომისიამ განიხილა აგრეთვე საკითხები: „საქალაქო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და მოსახლეობის კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებისათვის მარნეულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაობის შესახებ“ კომისიის 1986 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბინაო-კომუნალური და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრის დეპუტატ დ. ი. ხუტაშვილის ინფორმაცია თავისი სადეპუტატო მოვალეობის შესრულების შესახებ.

№ 2
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის არჩევნები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავის 1988 წლის 4 თებერვლის ბრძანებულებებით დაადგინა: „საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 73-ე მუხლის შესაბამისად განთავისუფლდეს ამხ. კუკური ივანეს ძე კოჟორაძე ხაშურის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის მოვალეობის შესრულებისაგან პირადი განცხადების საფუძველზე და „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 54-ე მუხლის შესაბამისად ხაშურის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის არჩევნები დაინიშნოს კვირას, 1988 წლის 6 მარტს.